ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № „68“

ქ. ბათუმი „18“ 03, 2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (თავი 1, მუხლი 3, პუნქტი 1, „ს“ ქვეპუნქტი და თავი 2, მუხლი 10[1], პუნქტი 3, „გ“ ქვეპუნქტი) შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი აპარატის უფროსის ლევან ხოზრევანიძის სახით ერთი მხრივ და შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ლაშა მიგინეიშვილის სახით მეორე მხრივ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული „კია სპორტეიჯ“ მარკის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანისათვის ძრავის ზეთისა (კოდი: 9211100) და ზეთის ფილტრების (კოდი: 42913300) შესყიდვა;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს „შემსყიდველს“ „კია სპორტეიჯ“ მარკის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანისათვის ძრავის ზეთები (კოდი: 9211100) და ზეთის ფილტრები (კოდი: 42913300) (შემდგომში „საქონელი“) და უზრუნველყოს თანმდევი მომსახურების გაწევა (ფილტრის და ზეთის შეცვლა), ხოლო „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი „საქონელი“ და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. საქონლის მიწოდების წესი, ვადები და ღირებულება

2.1. შესასყიდი საქონელის მიწოდება მოხდება ეტაპობრივად, მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს ორი დღის ვადაში;

2.2. შესასყიდი საქონელის მიწოდება მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №21;

2.3. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებზე ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე შემსყიდველის კოორდინატორის ხელმოწერის (დამოწმების) შემდეგ;

2.4. შესასყიდი საქონლის რაოდენობაა:

ა) ძრავის ზეთი – 12 (თორმეტი) ლიტრი;

ბ) ზეთის ფილტრი – 3 (სამი) ცალი;

2.5. შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი თანმდევი მომსახურების ღირებულების ჩათვლით შეადგენს:

ა) ძრავის ზეთი (ერთი ლიტრი) – 31,25 (ოცდათერთმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარს;

ბ) ზეთის ფილტრი (ერთი ცალი) – 15 (თხუთმეტი) ლარს;

შესასყიდი საქონლის ფასი მოიცავს თანმდევი მომსახურების ღირებულებას.

2.6. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 420 (ოთხასოცი) ლარს.

2.7. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა თანმდევ ხარჯს, დაკავშირებულს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტობრივად მიღებული საქონლის რაოდენობის გათვალისწინებით, მხარეებს შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან და შემსყიდველის კოორდინატორის მიერ ხელმოწერიდან (დამოწმებიდან) ათი დღის ვადაში;

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

ბ) უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" შესასყიდი საქონლის დროულად მიწოდება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს თანმდევი მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

დ) შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად დაწუნებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.2. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას მიწოდებული საქონლისა და შესრულებული თანმდევი მომსახურების ხარისხზე;

4.3. „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს ფაქტობრივად მიწოდებული და ჩაბარებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

4.4. „შემსყიდველი" ვალდებულია მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

4.5. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" საქონლის მიწოდება და თანმდევი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

ბ) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად დაწუნებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

გ) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" თანმდევი მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების ხარისხიანად და დროულად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი გადაცილებული დღისათვის, მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%;

5.2. იმ შემთხვევაში, თუ გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

5.3. მიმწოდებლის მიერ არასწორი დიაგნოსტიკის დასმის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მიმწოდებელს;

5.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს, თავისი წარმომადგენლის (კოორდინატორის) მეშვეობით, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

6.2. კოორდინატორი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესასყიდი საქონლის მიღება–ჩაბარება, მიღება–ჩაბარების დადასტურების მიზნით ხელი მოაწეროს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებზე ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე და გააფორმოს მიღება–ჩაბარების აქტი;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, რაოდენობის, ფასის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

გ) აწარმოოს და შეინახოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაცია;

დ) დაარეგულიროს ანგარიშსწორების პროცესი.

6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საფინანსო–სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ზვიადი ფარტენაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი მირზა აბაშიძე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერისა და სათანადო წესით რეგისტრაციის შემდეგ;

7.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. ზოგადი დებულებები

8.1. ხელშეკრულების პირობებში გადახრა ან ცვლილება დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე;

8.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. შესასყიდი საქონლის ფასი ფიქსირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

8.5. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა) „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

ბ) „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) „შემსყიდველი"-სათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

8.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა დარეგულირდეს საქართველოს კანონმდებლობით;

8.7. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს ჯარიმის თანხის სრულად დაფარვის მომენტამდე, საბოლოო ანგარიშსწორებამდე;

8.8. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრული შესასყიდი საქონლის რაოდენობა და 2.6. პუნქტით განსაზღვრული ჯამური ღირებულება არის სავარაუდო და მისი მთლიანად აუთვისებლობის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს, აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებად ჩაითვლება ფაქტიურად ათვისებული თანხა, რაც ცალკე წერილობით შეთანხმებას აღარ საჭიროებს;

8.9. მხარეები თანხმდებიან, რომ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

8.10. მხარეები თანხმდებიან, რომ მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ;

8.11. მხარეები თანხმდებიან, რომ კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

8.12. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად და სამივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, აქედან ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო მესამე ეგზემპლარი „მიმწოდებელთან".

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, „ფორს – მაჟორული" გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

9.3. „ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან "ფორს-მაჟორული" გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. დავათა განხილვის წესი

მხარეები ვალდებული არიან შეეცადონ ყოველგვარი დავა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას ურთიერთშეთანხმების გზით, დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო
მის.: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. №8
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს სახაზინო სამსახური
სახაზინო ანგარიშის №GE78BG0000000886744500
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749
მიმღების ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: **BAGAGE22**

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი"

მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №70
ანგარიშის № 153 512 100
საიდენტიფიკაციო კოდი: 236 093 473
მიმღების ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: **BAGAGE22**

აპარატის უფროსი

ლ. ხოზრევანიძე

აღმასრულებელი დირექტორი

ლ. მიგინეიშვილი